



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 150 2024 წლის 26 აპრილი ქ.თბილისი

„საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 6 მარტის №107 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 6 მარტის №107 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 2² პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ა) თამარ ლომინაძე – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) გოჩა თუთბერიძე – შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) დავით ტეფნაძე – შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;

დ) გიორგი ლაღანიძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ე) დავით გეგეჭკორი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ვ) ელიზბარ ელიზბარაშვილი – ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;

ზ) აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

თ) ციური დურული – სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ი) თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;

კ) დიმიტრი ჯაფარიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

ლ) ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

მ) ვასილ კიკუტაძე – შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

ნ) დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

ო) ქეთევან ნანობაშვილი – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

პ) ნინო ჭალაგანიძე – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

ჟ) გიორგი მირიანაშვილი – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

რ) ქეთევან ქუთათელაძე – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ს) მაგდა ბოლოთაშვილი – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი.“.

ირაკლი კობახიძე

